

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატების შეტანის თაობაზე"

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

პროექტის მიღების მიზეზია: ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების მინიმალური ასაკად 5 წლის განსაზღვრა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის მენეჯმენტის გაუმჯობესება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია: ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების მინიმალური ასაკად 5 წლის განსაზღვრა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორების დანიშვნის პროცედურების ლიბერალიზაცია და ეფექტურობა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ, ტექნიკური საშუალებებით ინფორმაციების თავისუფლად მოპოვების შესაძლებლობამ, სკოლამდელ დაწესებულებებში სწავლის ხარისხის და მეთოდის გაუმჯობესებამ განაპირობა საზოგადოებაში მინიმალური განათლების ასაკობრივი ზღვარის მკვეთრად დაწევა, ახალგაზრდა თაობის გონებრივი და აზრობრივი განვითარება, რაც იძლევა შესაძლებლობას ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების მინიმალურ ასაკად განისაზღვროს 5 წელი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის კანდიდატების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ასარჩევად სამეურვეო საბჭოსთვის წარდგენის შედეგად დაიხვეწება პროცედურები, გახდება მოქნილი და ეფექტური და გააუმჯობესებს მართვის მენეჯმენტს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს დამატებითი თანხების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღებას არ ექნება გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღებას არ ექნება გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტი არ წარმოშობს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომლებზეც ვრცელდება კანონპროექტი.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტს არ ექნება გავლენა საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტის შემუშავებაში სახელმწიფო, არასახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაციას (დაწესებულება), ექსპერტს მონაწილეობა არ მიუღია

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში ექსპერტების დასკვნები არ არსებობს

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს მთავრობა